ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი

# ღია მმართველობა

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი

2017 წლის ბოლოს ჩატარდა "მუნიციპალური სერვისების მიწოდების და მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის კვლევის" პირველი ეტაპი. კვლევის გეოგრაფია მოიცავდა ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებულ 115 ქუჩას. თითოეული ქუჩა შეფასდა კვალიფიციურ დამკვირვებელთა მიერ, ასევე გამოიკითხა 300 ადამიანი.

საგაზეთო ჩანართი №3



## ნაგვის მანქანის მოძრაობის გრაფიკით კმაყოფილი ხართ?




გრაფიკით ყველაზე უფრო უკმაყოფილოა „სერისა" და „ექადიის" მაცხოვრებლები.



## კმაყოფილი ხართ თუ არა წყალმომარაგების ხანგრძლივობით?




წყალმომარაგების პრობლემა განსაკუთრებით აწუხებთ ანასეულის (69%), ექადიის (65%) და ლაშე-გაკირულის (45%) უბნებში მცხოვრებ გამოკითხულებს.

## აქვს თუ არა თქვენს ქუჩას ტროტუარები და ავტო სადგომები ?

გამოკითხულთა 64% ამბობს, რომ ქუჩაზე ტროტუარების და ავტო-სადგომები არ არსებობს, ხოლო 21%-ის აზრით ქუჩაზე ტროტუარების და ავტოსადგომები ნაწილობრივაა გამოყოფილი.




ქუჩაზე ტროტუარები და ავტოსადგომები ძირითადად ცენტრალურ (31%) უბანში არსებობს.

## არის თუ არა თქვენს ქუჩაზე სანიაღვრე სისტემა?

გამოკითხულთა მიხედვით, ქალაქის ტერიტორიაზე 42% ამბობს, რომ მის ქუჩაზე არ არის სანიაღვრე არხები, ხოლო 16 % მიიჩნევს რომ ქუჩაზე არის მოუწესრიგებელი სანიაღვრე არხები.







სანიაღვრე არხები ყველაზე უფრო მოწესიგებულია ექადიისა (70%) და ცენტრის (58%) უბნებში, მოუწესრიგებელად კი თვლიან მოიდანახის (39%) და ლაშეს (35%) უბნებში მცხოვრები გამოკითხულები

გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ სანიაღვრე არხების გაწმენდა არასაკმარისია.
მაგალითად: ზვანის ძველი საავადმყოფოს უბნის მცხოვრებთა 95% თვლის რომ სანიაღვრე არხები არასაკმარისად იწმინდება.
გამოკითხულთა მიხედვით, ყველაზე კარგი მდგომარეობა არის ცენტრში, სადაც მხოლოდ 45% თვლის რომ სანიაღვრე არხების გამწენდა არასაკმარისია.

## როგორია სავალი გზის მდგომარეობა თქვენს ქუჩაზე?

თითქმის თანაბრად გადანაწილდა სავალი გზების მდგომარეობის შესახებ პასუხები, 36% იქრობს, რომ გზები მოწესრიგებულია, საშუალოდ აფასებს 33%, ხოლო 31% უკმაყოფილოა მათ კონკრეტულ ქუჩაზე სავალი გზის მდგომარეობით.

სავალი გზების მდგომარეობას ყველაზე უარყოფითად აფასებენ ზვანი-ძველი საავადმყოფოს (65%) და მოიდანახის (48%) უბნების მცხოვრებლები, ხოლო ყველაზე დადებითად ცენტრის მცხოვრებლები (58%).




## როგორ შეაფასებდით ქუჩაზე გარე განათებას?




გარე განათების საჭიროება ძირითადად ექადიის (35%) და სერისა (18%) უბნებშია. საშუალოდ აფასებენ გარე განათებას ასევე სერის (66%) და ანასეულის (63%) უბნების გამოკითხულები.

## როგორ შეაფასებდით თქვენი ქუჩის სისუფთავეებას?

სისუფთავის თვალსაზრისით მოსახლეობის აზრით ლიდერობს ცენტრის, ექადიის, ლაშე-გაკირულის და ზვანის უბნები. გამოკითხულთა 50%-ზე მეტი სუფთად მიიჩნევს.




განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ზვანი-ძველი საავადმყოფოსა და სერის უბანში.

## სჭირდება თუ არა თქვენს ქუჩას საზოგადოებრივი ტრანსპორტი?




## არის თუ არა ქუჩაზე მაწანწალა ძაღლები?

ტრანსპორტის საჭიროება ხაზგასმით 2 უბანში გამოიკვეთა, კერძოდ: ანასეული (100%) და მოიდანახეს (70%) უბანი.

მაწანწალა ძაღლების პრობლემებზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ანასეულის (78%), სერის (77%) და ლაშეს (65%) უბნებში მცხოვრები გამოკითხულები.

## ხდება თუ არა ქუჩის საჭიროებების მიწოდება შესაბამის ინსტიტუტებთან?




გამოკითხულთა უმრავლესობა 41% თვლის, რომ ქუჩის საჭიროებების მიწოდება შესაბამის ინსტიტუტებთან რეგულარულად ხდება.

## იცით თუ არა ვის უნდა მიმართოთ ქუჩის პრობლემების მოსაგვარებლად?




გამოკითხულთა 49% თვლის, რომ იცის ვის მიმართოს ქუჩის პრობლემების მოსაგვარებლად.


საგაზეთო ჩანართი მომზადებულია პროექტის „თანამშრომლობა ქალაქ ოზურგეთში თვითმმართველობის გამჭვირვალეობის და მუნიციპალური სერვისების გასაუმჯობესებლად“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთ კლუბი „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ პარტნიორობით.

გამოიცა ევროპის ფონდის დაფინანსებით, შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტის ფარგლებში.
საგაზეთო ჩანართი არ გამოხატავს ევროპის ფონდის და შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.